ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1089221

ნომერი: AR1190303

თარიღი : 15.01.2014

გაცემის თარიღი : 22.01.2014

გაცნობის თარიღი : 01.04.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ბაქტერიოფაგის ღობესა, და საპროექტო გზას შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ჭოხონელიძე პ/ნ 01017014488
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 53ა ბ. 12

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა AR1190303 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილი გაქვთ, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.10.13.016.008) მისასვლელი გზის მოწყობასთან დაკავშირებით შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დასკვნის მოპოვება, პასუხად გაცნობებთ შემდეგს: დღეის მდგომარეობით „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6–17 გადაწყვეტილების მიხედვით თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1), წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა). აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა გარდა:

ა) განათების;
ბ) სარწყავი სისტემის;
გ) სარეკლამო ბილბორდის;
დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის.
ე) კიბეების, გზების ბილიკების.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.13.016.008) ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი №AR1190064 განაცხადების საფუძველზე განხილული იქნა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის “16.01.2014 წლის №2 სხდომაზე, სადაც მოცემულმა საკითხმა, ამ ეტაპზე, მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება, მაგრამ მიეცა შემდეგი რეკომენდაცია: „წარმოსადგენია ქალაქგეგმარებითი დასაბუთება, სასურველია სანაპიროს მიმდებარე აუთვისებელი ტერიტორიები განვითარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ)–ს დამუშავების საფუძველზე მიმდებარე მიწის ნაკვეთებთან ერთად“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.